საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 20 00350595

10/02/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ბატონ კონსტანტინე ღვინჯილიას

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი 2020 წლის 05 იანვრის №60-01200363867 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გორგასალის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.18.04.001.006) მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის დაპროექტების დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ "ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და "საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას. კერძოდ:

1. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის 100 მმ ქსელზე სახანძრო ჰიდრან-ტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყაგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძარჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის (აღნიშნული ასახული იქნას სიტუაციურად დაპროექტების დოკუმენტაციაში).
საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.3 ცხრილი 2 ; პუნქტი 8.6; 8.10

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

2. შენობის -3.05 ნიშნულზე კორიდორში გათვალისწინდეს კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის მოწყობა.
საფუძველი: SP 7.13130.2009 პუნქტიბ 7.2 ქვეპუნქტები „ა“, „ბ“.

3. ვინაიდან წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე (და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით) აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების პროექტს;
გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის პროექტს;
დ) შენობაში ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების პროექტს;
ე) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების პროექტს;
ვ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის პროექტს;
ზ) შენობის გათბობის პროექტს;
თ) ელექტროდანადგარების პროექტს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

